ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

საბჭოს სხდომა #22

2018 წლის 16 ივლისს გაიმართა ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მორიგი, რიგით ოცდამეორე შეხვედრა. სხდომას ესწრებოდა 11 დელეგატი. სხდომას ხელმძღვანელობდა საბჭოს თავმჯდომარე ქ.-ნი ლელა კეთილაძე. ასევე შეხვედრას ესწრებოდნენ: ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი ბ.-ნი ირაკლი ტაბაღუა; ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ქ.- ნი ნინო ქავთარაძე; სახელოვნებო,სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი ბ.- ნი გეგი ლიპარტელიანი; საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი ბ.-ნი ამირან ჯანჯღავა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები.

დღის წესრიგი:
1. შეხვედრა ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან და მისასალმებელი სიტყვა.
2. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ცენტრის პრეზენტაცია.
3. დისკუსია.
4. სხდომის შეჯამება.

2018 წლის 16 ივლისს მოხდა მრჩეველთა საბჭოს წევრების შეხვედრა ქალაქის ხელმძღვანელ პირებთან. შეხვედრის მთავარ საკითხს წარმოადგენდა ,,ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ცენტრის“ პრეზენტაციის წარდგენა დამსწრე საზოგადოების წინაშე. პრეზენტაცია მოიცავდა შემდეგ საკითხებს: ცენტრის სტრატეგია, მიზანი, საგანმანათლებლო სტრუქტურა, სამუშაო პროცესი და მისი მნიშვნელობა ყოველდღიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

აღნიშნული საკითხის ფარგლებში გაიმართა დისკუსია, სადაც საბჭოს წევრებმა უპასუხეს ყველა დასმულ შეკითხვას. განიხილეს რიგი საკითხებისა, რომელიც ცენტრის მშენებლობისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. წარდგენილმა ინიციატივამ ქალაქის ხელმძღვანელი პირების მხრიდან მოწონება დაიმსახურა. ბ.-ნმა ირაკლიმ აღნიშნა, რომ აუცილებლად მოხდება ცენტრის საკითხის სიღრმისეული შესწავლა, დაგეგმვა-პროექტირება და მომზადება საბოლოო განხორციელებისათვის.

ასევე მრჩეველთა საბჭო აქტიურად ჩაერთვება ცენტრის სტრუქტურული დაგეგმარებითი ნაწილის მომზადების პროცესში და მონიტორინგს გაუწევს აღნიშნული ცენტრის იდეის განხორციელების პროცესს.

სხდომის დასასრულს მოხდა როგორც კონკრეტული შეხვედრის, ასევე განვლილი სამუშაო პროცესების შეჯამება. საბჭომ დადებითად შეაფასა განვლილი ერთი წლის მუშაობა, გათვალისწინებული იქნა ყველა რეკომენდაცია და რჩევა, რომელიც საბჭოს წევრებმა მეგობარი ექსპერტებისაგან მიიღეს. 2018 წლის 16 ივლისის საბჭოს სხდომა გამოცხადდა წლის ბოლო შეხვედრად, ხოლო ახალი შეხვედრა ჩაინიშნა 09.2018 წ. პირველი ორშაბათი.

საბჭოს მდივანი

ნუკრი რამიშვილი

რუსთავი, საქართველო 16.07.2018 წ.